



ოზურგეთის „ახალგაზრდა ჰელპოპოტა კავშირის“ გამოცემა



პოსტანდითა  
თვითშეახი-  
ვადობები  
„მოქალაქეები“

2

გვ.

ხა  
პოხდა?  
- ხაპ  
გაპოიწვია  
ღისციონის  
პოხა  
სკოლაში? 3

3

გვ.

ღაბაბაბის  
პასახაბ

4

გვ.

ღიღა სასკოლ  
სხოპაბაბი  
პოპაბაბა  
რახოპაბის  
პიპაბაბა

5

გვ.



კადრი დოკუმენტური ფილმიდან  
„მარტო მოვდივარ“  
აი, როგორ მოულობს ზოგიერთი ბავშვი ფულს  
თავის გადარჩენისთვის

## ბავშვის უფლებათა კონვენცია

მუხლი 20

ოჯახურ გარემოს მოკლებული ბავშვის დაცვა

სახელმწიფო ვალდებულია განსაკუთრებულად დაიცვას ბავშვი, რომელიც მოკლებულია ოჯახურ გარემოს და შეუქმნას მას მშობლიური გარემოს ტოლფასი ალტერნატიული გარემო ან მოათავსოს შესაბამის დანესებულებაში. აღნიშნულ ვალდებულებათა განხორციელებისას აუცილებელია ბავშვის კულტურული კუთვნილების გათვალისწინება.

# ბავშვები სევდისა და მონაცხების გახეშე

ჯერ კიდევ 1950 წლებში მოღვაწე ბრიტანელმა მწერალმა და ბავშვთა განვითარების მკვლევარმა ჯონ ბაულობიმ აღნიშნა, რომ „ბავშვები, რომლებსაც აკლიათ მშობლიური სიყვარული, ძნელად შედიან სხვა ადამიანებთან კონტაქტში“. ასეთი ბავშვების მშობლები თვლიან, რომ მათი შვილები არიან ძნელად სამართავნი, არაკეთილსინდისიერი, არ არიან გულწრფელი გრძობათა გამოხატვაში. არ ღებულობენ რა სიყვარულს, თვითონაც არ გასცემენ მას. ისინი ცხოვრობენ ბავშვურად, ეგოცენტრულად, იმპულსურად, სხვებს არ ენდობიან, ყოველთვის ცდილობენ დისტანციის შენარჩუნებას. არაერთმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ძირითადად ასეთი ბავშვები სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები არიან. სწორედ მათ აკლიათ მშობლიური სიტბო და გარემო, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილებაც ადასტურებს, რომ ბავშვთა სახლში ბავშვის

აღზრდა(ყველაზე კარგად დაფინანსებულიც კი) ვერ შეედრება ბავშვის ოჯახში აღზრდას, ბავშვთა სახლში ბავშვი სრულყოფილად ვერ ვითარდება. ამიტომაც იზრუნა მათზე სახელმწიფომ და გადამწყვიტა ასეთი სასწავლებლის მოსწავლეთათვის შეექმნათ სულ სხვა, ალტერნატიული მომსახურება. სწორედ ამ მიზნით ეწვია ოზურგეთის №6 სკოლა-პანსიონის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ბატონი ალექსანდრე ლომია და ბავშვზე ზრუნვის სამმართველოს უფროსი ქალბატონი თამარ გოლუბიანი. როგორც მინისტრმა იმდღევანდელ შეხვედრაზე აღნიშნა: სამინისტრო ბავშვზე ზრუნვის რეფორმას 2004 წლიდან ახორციელებს. რეფორმის დაწყებამდე ბავშვთა სახლებში 5200 აღსაზრდელი იყო. ბატონმა მინისტრმა ბრძანა: ჩვენი ამოცანაა არც ერთი ბავშვი არ დარჩეს მსგავს საბჭოთა ტიპის დანესებულებაში.

ბავშვებმა უნდა ისწავლონ ჩვეულებრივ სკოლებში და დღის მეორე ნახევარში დაბრუნდნენ საკუთარ სახლებში, არა იმიტომ, რომ ასეთი ცალკე სკოლა ჩვენ ამ ბავშვებისთვის არ გვინდა, მათ თავიანთ თანატოლებთან უნდა ისწავლონ და ისეთივე მხიარულები და უდარდლები იყვნენ როგორც ჩვეულებრივი ბავშვები არიან. მე არ მინდა მათ თვალში სევდა-სა და მონაცხება ვხედავდე“. და შემდეგ განაგრძო: სექტემბრიდან ეს სკოლა-პანსიონი უკვე აღარ იარსებებს, მას სხვა ტიპის საოჯახო სახლი ჩაენაცვლება, სადაც განსაკუთრებული პირობები იქნება და იქ ისწავლიან მხოლოდ ის მოსწავლეები, რომელთაც უბრალოდ არ შეეძლებათ საკუთარ ოჯახში დაბრუნება სოციალური თუ სხვა გაუსაძლისი ეკონომიკური პირობების გამო. როგორც შემდეგ ბავშვებთან საუბრისას გაირკვა, ყოველ მათგანს უნდა ოჯახში დაბრუნება, ენატრებათ დედ-მამა, ახ-

ლობლები, მოუთმენლად ელიან ყოველი პარასკევის მოსვლას, მართალია ისინი მასწავლებლების კმაყოფილიც არიან, მაგრამ მაინც ფიქრობენ და ხმამალაც აცხადებენ: როდის იქნება ჩვენი ჩვეულებრივ, ჩვენი ოცნების გარემონტებულ სკოლაში რომ ვივლით, ბევრი მეგობარი გვეყოლება და რაც მთავარია ჩვენი უფლებები არ შეილახებაო-ჩუმად, მაგრამ, მაინც მეუბნებოდნენ თვალცრემლიანი პატარები. \*იმედია, სახელმწიფოს ზრუნვა ასეთ ბავშვებზე დადებით შედეგს გამოიღებს, რის საფუძველზეც მკაფიოდ დანახავს მთელი საზოგადოება, რომ მართლაც დანაშაულის ტოლფასი იყო მათი ასეთ დანესებულებებში მოთავსება, ბავშვთა უფლებების დარღვევა და მათი სულის ტირილი. ამის შემდგომ, თვით ყველაზე სკეპტიკურად განწყობილი ნაწილიც კი დამეთანხმება ამაში.

წინელი კალანდაკა  
სოციალური მუშაკი



ვერ კიდევ 1917 წელს წერდა დიმიტრი უზნაძე: „დაე, სკოლა დემოკრატიულად იყოს მოწყობილი, დაე მისი მართვა, არსებობა, მოსწავლეთა ხელში გადავიდეს“.

ამ განაცხადს მაშინ განხორციელება არ ენერა, საბჭოთა სკოლა სწორედ იმავე პრინციპებზე იყო აგებული, რომელზეც საბჭოთა სახელმწიფო. სკოლა იყო ცენტრალიზებული და იმართებოდა ზემოდან. მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს შესაძლებლობა არ ჰქონდათ, არსებითი გავლენა მოეხდინათ სკოლის მართვაზე.



„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონმა შექმნა სკოლის მართვის ახალი სტრუქტურა. სკოლა არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დამოუკიდებლად მართავს საკუთარ თავს სამეურვეო საბჭოს მეშვეობით.

კანონის თანახმად სამეურვეო საბჭო სკოლის თვითმმართველობის უმაღლესი, მაგრამ არა ერთადერთი ორგანოა. სკოლაში არსებობს მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო – სკოლის პედაგოგიური საბჭო და მოსწავლეთა თვითმმართველობა. ორივე მათგანს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია სკოლის მართვაში.

მოსწავლეთა თვითმმართველობა კანონის სიახლეა. აქამდე სკოლის მართვაში მოსწავლეები არ მონაწილეობდნენ. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სკოლაში არსებობდა მოსწავლეთა გაერთიანება, რომლებიც თავისი არსით მოსწავლეთა თვითმმართველობას წარმოადგენდნენ (მოსწავლეთა საბჭოები, სკოლის პარლამენტები და ა.შ.). ეს გაერთიანებები არ იყვნენ ფორმალური, მაგრამ იყვნენ ნებაყოფლობითი, მოსწავლეთა ინიციატივაზე დაფუძნებული და რეალურად გამოხატავდნენ მოსწავლეთა აზრს.

მოსწავლეთა ამ ტიპის გაერთიანებებმა სერიოზული როლი სკოლის მართვაში ვერ შეასრულა, რადგან ხშირ შემთხვევაში დირექცია მათ არ აღიქვამდა სერიოზულად, ფორმალური თვალსაზრისით მათ არსებობას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა და ა.შ. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონმა მოსწავლეთა თვითმმართველობა დააფიქსირა, როგორც სკოლის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული, რომლის არსებობა სკოლაში სავალდებულოა.

მოსწავლეთა თვითმმართველობა ხელს უწყობდეს მოსწავლეთა თავისუფალი აზრის გამოხატვას, მათი პრობლემების გადაჭრას, სკოლის მართვაში მოსწავლეთა ჩართულობას, მოსწავლეთა უფლებების დაცვას.

კანონის თანახმად მოსწავლეთა თვითმმართველობა ირჩევს ერთ სამუშაო საფეხურის მოსწავლეს სამეურვეო საბჭოში (მუხლი 48. „გ“ პუნქტი); მონაწილეობას იღებს სკოლის შინაგანაწესის შემუშავებაში რეკომენდაციების წარდგენის სახით (მუხლი 48. „ა“ პუნქტი); მონაწილეობას იღებს სკოლის გრანტის განკარგვაში (მუხლი 48. „დ“ პუნქტი). მოსწავლეთა თვითმმართველობას შეუძლია:

- ◆ შექმნას სასკოლო კლუბები

ბერს გამოცემულ იქნა მინისტრის №950 ბრძანება, რომლის მიხედვით არჩევნების თარიღად დაინიშნა 30 ნოემბერი. გურიის სკოლების დირექტორებს ამ ბრძანების შესახებ აცნობეს 25 ნოემბერს, ხოლო მოსწავლეებს არჩევნების შესახებ გამოუცხადეს 26 ნოემბერს, ანუ 4 დღით ადრე.

სამინისტროს მიერ არჩევნების ასეთ დაჩქარებულ ტემპში ჩატარებამ გამოიწვია ის, რომ მოსწავლეებს, რომლებმაც კენჭი იყარეს მოსწავლეთა თვითმმართველობაში, არ ჰქონდათ მომზადებული საარჩევნო პროგრამები, არ უწარმოებიათ საარჩევნო კამპანიები. არჩევნებში ხმას აძლევდნენ მეგობრებს, შეყვარებულებს, ნათესავებს, მასწავლებლის ან სკოლის ადმინისტრაციის წევრის შვილებსა თუ ოჯახის წევრებს, „კაი ბიჭებს“ და ა.შ.

# მოსწავლეთა თვითმმართველობაში “მოქმედებაში”

(მუხლი 48. „ე“ პუნქტი).  
◆ სამეურვეო საბჭოსა და დირექციის წინაშე დააყენოს სხვადასხვა პრობლემები და მოითხოვოს მათი გადაწყვეტა (მუხლი 48. „ბ“ პუნქტი)

◆ მიიღოს სამეურვეო საბჭოსაგან და დირექციისგან ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია და გაავრცელოს ის (მუხლი 11. პუნქტი 2; მუხლი 14. პუნქტი 1.)

◆ გამოხატოს და გაავრცელოს საკუთარი აზრი, მათ შორის გამოსცეს გაზეთი ცენზურის გარეშე (; მუხლი 14. პუნქტი 2,3)

◆ ისარგებლოს სკოლის ყველა რესურსით (მუხლი 8. პუნქტი 1.)

◆ შეუძლია ეწეოდეს ყველა იმ საქმიანობას, რომელიც კანონით არაა აკრძალული.

კანონით გათვალისწინებული სკოლის მართვის ახალი სისტემა საკმაოდ დემოკრატიულია და მის შედეგად მოსწავლეთა თვითმმართველობები აქტიურად უნდა ჩართულიყვნენ სკოლის მართვაში და ხელი უნდა შეეწყოს სკოლის დემოკრატიზაციის პროცესისათვის.

მაგრამ ეს ერთი შეხედვით. მიუხედავად კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებებისა, მოსწავლეთა თვითმმართველობების „პირველი თაობის“ საქმიანობამ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში აჩვენა, რომ მათ ვერ შეასრულეს დაკისრებული მისია. ამ პერიოდის მანძილზე გამოჩნდა რამდენიმე მეტისმეტად მნიშვნელოვანი პრობლემა.

## არადემოკრატიული არჩევნები

ოზურგეთის „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ გურიის 11 სკოლაში აკვირდებოდა მოსწავლეთა თვითმმართველობის, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარეებისა და სამეურვეო საბჭოში მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლის არჩევნების მიმდინარეობას.

მოსწავლეთა თვითმმართველობის პირველი ეტაპის არჩევნები უნდა ჩატარებულიყო 2006-07 სასწავლო წლების დასაწყისში. 1-ლი არჩევნების ჩატარება მოხდა მინისტრის ბრძანების საფუძველზე. 2006 წლის 22 ნოემ-

ბერს გამოცემულ იქნა მინისტრის №950 ბრძანება, რომლის მიხედვით არჩევნების თარიღად დაინიშნა 30 ნოემბერი. გურიის სკოლების დირექტორებს ამ ბრძანების შესახებ აცნობეს 25 ნოემბერს, ხოლო მოსწავლეებს არჩევნების შესახებ გამოუცხადეს 26 ნოემბერს, ანუ 4 დღით ადრე.

სამინისტროს მიერ არჩევნების ასეთ დაჩქარებულ ტემპში ჩატარებამ გამოიწვია ის, რომ მოსწავლეებს, რომლებმაც კენჭი იყარეს მოსწავლეთა თვითმმართველობაში, არ ჰქონდათ მომზადებული საარჩევნო პროგრამები, არ უწარმოებიათ საარჩევნო კამპანიები. არჩევნებში ხმას აძლევდნენ მეგობრებს, შეყვარებულებს, ნათესავებს, მასწავლებლის ან სკოლის ადმინისტრაციის წევრის შვილებსა თუ ოჯახის წევრებს, „კაი ბიჭებს“ და ა.შ.

მარე და ერთი პრეზიდენტი. სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები აქტიურად ერეოდნენ არჩევნების პროცესში. ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებელმა მოსწავლეს არ მისცა საკუთარი კანდიდატურის დაყენების უფლება. ხშირი იყო შემთხვევა, როცა მასწავლებელი ან დირექტორი შედიოდა კლასში და ასახელებდა იმ კანდიდატს, რომელსაც უნდა გაემარჯვა. დირექტორი თითქმის ყველგან ესწრებოდა არჩევნებს. ერთ-ერთ სკოლაში დირექტორი წერდა განცხადებებს მოსწავლეთა სახელით.

სამეურვეო საბჭოს წევრებად გადიოდნენ ძირითადად ის მოსწავლეები, რომლებისაგან მოქმედ დირექტორებს ექნებოდათ გარანტირებული ხმა დირექტორის არჩევნების დროს. ერთ-ერთ სკოლაში საერთოდ არ ჩატარე-

ბულა სამეურვეო საბჭოს წევრის არჩევნები, არამედ ის დაასახელა პირდაპირ მასწავლებელმა. ამ, ერთი შეხედვით, ფორმალური მოთხოვნების დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე მოსწავლეებს ეხება, რადგან ისინი ბავშვობიდანვე სიყალბეს და წესების დარღვევას არ უნდა შეეჩვიონ. **ინდიფერენტულობა** არჩევნებში, რომელშიც რეალურად არ გამოვლენილა მოსწავლეთა ნება, შედეგად მოგვცა მოსწავლეთა თვითმმართველობები, რომლებიც არ არიან დაინტერესებული საკუთარი სკოლის პრობლემების მოგვარებით.

მოსწავლეთა თვითმმართველობის მიმართ ინდიფერენტულობა და განწყობილი როგორც მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები, ასევე სხვა მოსწავლეებიც.

მოსწავლეთა დიდ ნაწილს უმნიშვნელო მოვლენად მიაჩნდა მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები. ისინი არჩევნებზე გამოცხადდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას განსაკუთრებული „მობილიზაცია“ ჰქონდათ გამოცხადებული არჩევნების დღისათვის.

თავმჯდომარეებად და სამეურვეო საბჭოს წევრებად არჩეულნი არიან მე-11 კლასელები, რომლებიც ემზადებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასატარებლად და არ აქვთ დრო თვითმმართველობაში სამუშაოდ.

არსებობს სკოლები, სადაც ე.წ. „კაი ბიჭები“ არიან არჩეულნი მოსწავლეთა თვითმმართველობის შემადგენლობაში და „უტყდებთ“ კრებებზე დასწრება და მუშაობა. მათთვის თვითმმართველობის წევრობა მხოლოდ ავტორიტეტის გამტკიცების საკითხია.

ერთ-ერთი პრობლემაა გაცივების გაცდენა მოსწავლეთა თვითმმართველობის შეკრების გამო. მოსწავლეებს ურჩევნიათ, გაცდინონ გაცივებით და ისე ჩაატარონ მოსწავლეთა თვითმმართველობის შეკრება, ვიდრე დარჩნენ გაცივების შედეგად სკოლაში და ცოტა დრო დაუთმონ მოსწავლეთა თვითმმართველობაში

საქმიანობას. რამდენიმე აქტიური წევრისათვის დიდი პრობლემაა დანარჩენი წევრების დათანხმება სხდომაზე დასწრებაზე, განსაკუთრებით მაშინ, თუ სხდომა გაცივების შედეგად, ან დასვენების დღეებში (შაბათი) არის.

იშვიათი და უმნიშვნელო გამოჩენის გარდა მოსწავლეთა თვითმმართველობებს არ განუხორციელებიათ აქტივობები და არ გამოსულან ინიციატივებით დირექციის ან სამეურვეო საბჭოს წინაშე.

## ინფორმაციის ნაკლებობა

მოსწავლეთა ინდიფერენტულობის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ისინი ვერ ხედავენ მოსწავლეთა თვითმმართველობაში იმის შესაძლებლობას, რომ რეალურად შეცვალონ სიტუაცია სკოლაში, მათთვის ეს მხოლოდ ფორმალური წარმონაქმნია. ეს არის მოსწავლეთა არაინფორმირებულობის ბრალი.

მოსწავლეების უმრავლესობა არ იცნობს „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონს. არც არჩევნებზე, არც არჩევნების შემდეგ განათლების სამინისტროს არ ჩაუტარებია არცერთი სემინარი ან საინფორმაციო შეხვედრა, რომელზეც მოსწავლეებს გააცნობდნენ მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციებს, უფლებებსა და დანიშნულებას.

არც სკოლის ადმინისტრაცია ცდილა ამ საკითხის მოგვარებას. არც მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებმა, არც დანარჩენმა მოსწავლეებმა არ იციან, რატომ არსებობს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რა ვადითაა არჩეული, რა უფლებები შეიძლება ჰქონდეს და ა.შ.

ოზურგეთის „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირმა“ ჩაატარა გამოკითხვა გურიის 9 საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი ფიქრობს რომ:

◆ მოსწავლეთა თვითმმართველობა ჩაატარებს სკოლის შეიშვას;

◆ მოსწავლეთა თვითმმართველობა ჩაატარებს სკოლის სარე-მონტო სამუშაოებს;

◆ არჩეულ მოსწავლეებს ექნებათ პრივილეგიები.

◆ მოსწავლეთა თვითმმართველობა დაიცავს დისციპლინას სკოლაში

არცერთს არ აქვს ჩამოყალიბებული პასუხი შეკითხვაზე, თუ რატომ უნდათ თვითმმართველობის წევრობა.

## მოსწავლეთა თვითმმართველობა – დამსჯელი ორგანო

მოსწავლეთა თვითმმართველობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობამ გამოიწვია მისი გაიგივება საბჭოთა პერიოდში არსებულ პიონერთა რაზმულუბთან და კომკავშირებთან. მოსწავლეთა დიდ ნაწილს მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლაში დისციპლინის დამცველ ორგანოდ მიაჩნია.

ასეთი შეხედულება აქვს როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციას.

ოზურგეთის „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირმა“ ჩაატარა რამდენიმე სემინარი, სადაც ყურადღება იყო გამახვილებული სწორედ ამ საკითხებზე. შეიძლება ითქვას, რომ სემინარების შედეგად მოსწავლეთა თვითმმართველობების წარმომადგენლებმა მეტ-ნაკლებად გააცნობიერეს საკუთარი ფუნქციები და უფლებამოსილებები.

პრობლემას წარმოადგენს ის, რომ მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციებს ამ საკითხზე წარმოდგენა არ აქვთ და მოსწავ-



# რა მოხდა? – რამ გამოიწვია დისციპლინის მოშლა სკოლაში?!

როცა დღევანდელ სკოლებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად დისციპლინის საკითხით უნდა დავიწყოთ მსჯელობა. რა ხდება ამ კუთხით სასწავლო დაწესებ-

ვამყარებთ მათთან ნორმალურ დამოკიდებულებას. ბავშვებისა და მასწავლებლებისათვის გაკვეთილის გაცდენა ტრაგედია უნდა იყოს. სკოლაში მისულ მო-

გაკვეთილი და მოსწავლე-საც დიდი სურვილი ჰქონდა გაკვეთილზე დასწრებისა.

მე, როგორც მშობელი ვთლი, რომ ჩვენ ბოლომდე არა გვაქვს გაცნობიერებული დღევანდელი სამეურვეო საბჭოს შესაძლებლობები და ასე მგონია მაინც ფორმალური წარმონაქმნის სახე მიიღო სამეურვეო საბჭოებმა. არჩევნებისას შეიძლება გარეგნულად დარღვევებაც არ ჰქონია ადგილი, მაგრამ ვიცი, რომ იყო წინასწარ მოსამზადებელი პერიოდი არჩევნებში მონაწილე სასურველ კანდიდატებთან და საერთოდ, ამ არჩევნებს ძალიან დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა შედეგის მისაღწევად რასაც დღევანდელი სკოლა მოითხოვდა, მაგრამ მივიღეთ საპირისპირო შედეგი, რადგან კვლევებმა ასე დაგვანახა რომ სკოლებში ამ

ვფიქრობ, რომ პასუხისმგებლობა სკოლის დისციპლინის რღვევაზე უნდა გადაინიღდეს იმ სამ კატეგორიაზე, რასაც პედაგოგი, მშობელი და მოსწავლე ჰქვია. საერთოდ, ყველა ადამიანს მოტივაცია სჭირდება რაიმე სამუშაოს შესასრულებლად. მოსწავლემ რომ ისწავლოს დაინტერესებული უნდა იყოს პედაგოგების მიერ, თავის მხრივ პედაგოგსაც სჭირდება მოტივაცია, რომ სრულყოფილი გაკვეთილი ჩაატაროს, თუმცა ეს მაინც მისი მოვალეობაა და ვალდებულებაც არის გააკეთოს თავისი საქმე.

თავისთავად სასწავლო პროცესის რღვევამ გამოიწვია დისციპლინის მოშლა და რა მოხდა?

ზედმეტმა თავისუფლებამ ერთმანეთისადმი პატივისცემა დააკარგინა უფროს-უმცროსობას. თუკი მოსწავლე ვერ მიხვდა ან ვერ გაიაზრა სკოლის დანიშნულება, მანამ ეს პრობლემა მუდმივად იქნება საზოგადოების წინაშე.

**დღესდღეობით განათლების შესახებ კანონის გააზრება მისი შინაარსის არაადექვატურია, როგორც პედაგოგების ასევე მოსწავლეების მხრიდან.** რატომღაც ყველას ავინყდება რომ უფლებების გარდა არსებობს პასუხისმგებლობები და ამან ორივემ უნდა დაარეგულიროს ურთიერთობები სკოლაში. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი სასწავლო დისციპლინის აღდგენა.

მარიამ ნიკლაური, მოს-

**როცა შუა გაკვეთილზე შემოაღებენ ბიჭები კარებს რა თქმა უნდა ამას მასწავლებლებიდან საპასუხო რეაქციარ მოყვება და ამით ნაწილობრივ იშლება გაკვეთილი.**

**ვიქნებით იმ მოტივით, მაინც არაფერი არ შეიცვლება.**

მინდა ვირწმუნო, რომ ახლადარჩეული დირექტორები გაცილებით უფრო მეტს გააკეთებენ თავიანთ სკოლებში არსებული მდგომარეობის გამოსწორებად, დაწყებული დისციპლინიდან დამთავრებული ელემენტარულ საკითხამდე, თორემ დამიჯერეთ ასე რომ არ მოხდეს ეს კატასტროფის ტოლფასი იქნება.

თამუნა კაჭარავა,-- ჩემი აზრით სკოლებში დისციპლინის მოშლა ახლა კი არა გაცილებით ადრე ცხრა-ათი წლის წინ დაიწყო, მაშინ, როცა საბჭოთა სკოლების ზედმეტად მკაცრი დისციპლინა ქვეყანაში თავისუფლებისათვის ბრძოლამ შეცვალა. ეს არის ფორმაციული ცვლილებების შედეგი, იმ მომენტში ეკონომიკურმა სიღრმეჭირემ იმოქმედა სკოლის სტრუქტურაზე. მარტო ერთი მხარის დადანაშაულება არ იქნება მიზანშეწონილი,

წავლე--როცა დისციპლინის დარღვევაზე ვსაუბრობთ არ მინდა მარტო ჩემი სკოლით შემოვიფარგლო, რადგან სხვა სკოლებთან შედარებით ჩვენთან უკეთესი მდგომარეობაა. მორიგე მასწავლებლები მუდმივად ამონებენ სასწავლო პროცესს, შეძლებისდაგვარად ცდილობენ სკოლაში არ შემოუშვან უცხო ბიჭები, რადგან სწორედ მათი გამოჩენის შემდეგ იწყება საქმეების გარჩევა, დანების ფრიალი, უწმინდური სიტყვების კორიანტელი.

იშვიათად, მაგრამ მაინც არის ისეთი შემთხვევები, როცა შუა გაკვეთილზე შემოაღებენ ბიჭები კარებს, რა თქმა უნდა ამას მასწავლებლებიდან საპასუხო რეაქციაც მოყვება და ამით ნაწილობრივ იშლება გაკვეთილი. და მაინც თუ გვინდა სკოლებში სანიმუშო დისციპლინა იყოს ყველამ ერთდროულად უნდა ვიბრძოლოდ საგაკვეთილო პროცესის სრულყოფისათვის.

## აქტიური მოქალაქე და მოსწავლე საგანმანათლებლო სისტემაში

ჩვენმა ორგანიზაციამ პროექტ – „აქტიური მშობელი და მოსწავლე საგანმანათლებლო სისტემაში“ – ფარგლებში ფოკუს-ჯგუფის შეხვედრები მოაწყო ოზურგეთის №1 და №5, ჩოხატაურის №1 და სოფელ ჩაისუბნის, ლანჩხუთის №1, №2 და №4 საჯარო სკოლების მოსწავლეთა მშობლებთან, სამეურვეო საბჭოს წევრებთან და სკოლების ადმინისტრაციებთან.

ფოკუს-ჯგუფთან მუშაობის მიზანი იყო იმ აქტივობებისა და ინიციატივების გამოკვეთა, რომლებიც ხელს შეუწყობენ მშობელთა გააქტიურებას, მათი ინფორმირებულობის დონის ამაღლებასა და ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში.

ფოკუს-ჯგუფებთან მუშაობის შედეგად გამოირკვა, რომ მშობლები თვითონვე აღიარებენ მათი ჩართულობის დიდ მნიშვნელობას სასკოლო ცხოვრებაში, სწორედ მათი ამ ქმედებით სასკოლო ცხოვრება ბევრი პრობლემა, თუმცა ნამდვილად შეიძლება პასიური მშობლების გააქტიურებაც და ჩართვა სასკოლო პროცესებში.

როგორც გამოიკვეთა, ისინი ნაკლებად არიან ინფორმირებული სასკოლო ცხოვრების, მათი უფლებების, ამ უფლებათა გამოყენების მექანიზმების შესახებ. ფოკუს-ჯგუფთან მუშაობის ერთ-ერთ ამოცანას სწორედ იმის დადგენა წარმოადგენდა, თუ როგორ, რა გზებით იყო შესაძლებელი მათთვის ინფორმაციის მიწოდება. მშობელთა აზრით ეს შესაძლებელია საინფორმაციო ბროშურების, ლიფლეტების, მასმედიაში ინფორმაციის გამოყენების საშუალებით, ასევე სემინარების ჩატარებით. ითქვა მშობელთა ნახალისებაზე სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან, ღონისძიებების მოწყობაზე, აქტიური მშობლებისათვის სიგელების გადაცემაზე.

რაც შეეხება მშობელთა სათათბიროებისა და კლუბების პრაქტიკას, მშობლებს ძირითადად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ამ სახის ორგანიზაციების შესახებ, მაგრამ თვლიან, რომ ნამდვილად კარგ შედეგს მოიტანს მათი არსებობა სკოლებში.

მშობლებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს დისციპლინის საკითხს და აღნიშნეს, რომ სასწავლო დაწესებულებებმა სკოლის ადმინისტრაციასთან და მოსწავლეებთან ერთად უნდა შეიმუშაონ შინაგანაწესი, ასევე აუცილებელია სკოლებში დისციპლინური საბჭოს ჩამოყალიბება. კონფლიქტების მოგვარებისათვის სკოლას ესაჭიროება ფსიქოლოგი, რომელიც დაარეგულირებს ურთიერთობებს მოზარდებში.

მშობლებს ძალიან აწუხებთ, აგრეთვე, ის პრობლემა, რომ სკოლებში (მათ შორის ახალგაზრდობის ცენტრშიც, ახალი ინვესტიციებით) სასკოლო მერხები არ შეესაბამება მოსწავლის ასაკსა და სიმაღლეს და საფრთხეს უქმნის ბავშვების ჯანმრთელობას.

თაბა კუპრაძე

**მიმაჩნია, რომ პირველ რიგში ეს ჩვენი პედაგოგების ზრალია, რადგან არა ვართ ისე მოტივირებული, როგორც საჭიროა.**

ულებებში. მოშლილია თუ არა დისციპლინა და ვისი ბრალია ეს. მასწავლებლის, მოსწავლის თუ მშობლის, თუ ყველასი ერთად? დღეს ამ საკითხით საზოგადოების უმეტესი ნაწილი შემოფოთებულია. აღელვებთ ჩვენი მომავალი თაობების ბედი, რადგან უდისციპლინობა თავი და თავია ათასგვარი უბედურებებისა, რაც ამ ბოლო დროს ასე მომრავლდა და გახშირდა განსაკუთრებით არასრულწლოვანებში. რა ზომებს ღებულობს ამისათვის სკოლა? მშობელი?

ჩვენ ამ კითხვით მივმართეთ საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს. გთავაზობთ მათი საუბრის ჩანაწერს:

ლია ძნელაძე, პედაგოგი-დისციპლინა მართლაც სავალალო მდგომარეობაშია სკოლაში. მიმაჩნია, რომ პირველ რიგში ეს ჩვენი პედაგოგების ბრალია, რადგან არა ვართ ისე მოტივირებული, როგორც საჭიროა. მახსენდება რვა-ცხრა წლის წინანდელი ამბები, ომიანობის წლები, ძლივს ვატარებდით გაკვეთილებს, მუდამ შიშის ქვეშ ვიყავით, თვეობით ხელფასებს ვერ ვღებულობდით და ყოფილი პრობლემებით უფრო ვიყავით დაკავებული, ვიდრე სკოლის ცხოვრებით. ხანდახან გვაინწყდებოდა კიდეც ჩვენი უპირველესი მისია. მაგრამ ისიც მინდა ვთქვა, რომ ბავშვებიც ისე არიან ინფორმირებულნი, თითქოს ძალიან დიდი უფლებები აქვთ და ჩვენგან შენიშვნის

სწავლეს გაკვეთილზე შესვლა უნდა უხაროდეს. ამისათვის კი პედაგოგმა ძალიან ბევრი უნდა იკითხოს, რომ რაც შეიძლება მისი გაკვეთილები საინტერესო იყოს. მარტო მასწავლებელი ვერაფერს ვერ გახდება მშობლისა და დირექციის გარეშე. რეფორ-

**დღესდღეობით განათლების შესახებ კანონის გააზრება მისი შინაარსის არაადექვატურია, როგორც პედაგოგების, ასევე მოსწავლეების მხრიდან.**

მაც ხომ იმისთვის არსებობს გადახალისდეს საგაკვეთილო პროცესი.

ნათია მენაბდე, მშობელი-ვთელი, რომ დღევანდელ სკოლებში დისციპლინა ძალიან მოიკოჭლებს. თუ დისციპლინა არ იქნება სასწავლო პროცესიც არ ჩატარდება ნორმალურად. ვფიქრობ პასუხისმგებლობა პედაგოგებმა, მშობლებმა და მოსწავლეებმაც თანაბრად უნდა გადაინაწილონ, მაგრამ თავი და თავი მაინც პედაგოგის კვალიფიკაციაა. როდესაც ბრწყინვალე ცოდნის მქონე და რაც მთავარია, მონოდებით პედაგოგი შედის გაკვეთილზე მან იცის თავისი საქმე. იგი არავითარ შემთხვევაში არ დაინყებს დროის გაყვანის მიზნით ყურნალების კითხვას და სხვა თემის განხილვას გაკვეთილზე.

კუთხით ჯერჯერობით არაფერი არ გაკეთებულა.

**მინდა ყველა მშობელს შევახსენო, რომ მათ შეუძლიათ ქმედითი როლი ითამაშონ თავიანთი შვილების მომავლის განსაზღვრაში და გთხოვთ ისევ პასიურ პოზიციაზე ნუ**

**მინდა ყველა მშობელს შევახსენო, რომ მათ შეუძლიათ ქმედითი როლი ითამაშონ თავიანთი შვილების მომავლის განსაზღვრაში და გთხოვთ ისევ პასიურ პოზიციაზე ნუ ვიქნებით იმ მოტივით, მაინც არაფერი შეივცვლება.**

მიღებასაც არ კადრულობენ. მათ უგულვებლყოფილი აქვთ თავიანთი მოვალეობები, ანუ ის რომ გაკვეთილზე მოუსმინონ მასწავლებელს.

საოცრად აგრესიულებიც არიან. გახშირდა მკვლევობები, ჩემი აზრით მენტორული ტონით არ ვარგა ბავშვებთან მიდგომა. ასე მგონია ურთიერთთანამშრომლობით და მეგობრობით უფრო მეტს მივალწევთ და და-

მას შეუძლია თავისი ცოდნით და პედაგოგისათვის დამახასიათებელი თვისებებით (რაც ძალიან ძნელი შესაძენია) სამარისებური სიჩუმე ჰქონდეს. ერთმანეთის აზრის პატივისცემა რომ ჩამოყალიბდეს ბავშვებს თანაბარი მონაწილეობა უნდა მიიღონ საგაკვეთილო პროცესის წარმართვაში. ამისათვის მასწავლებელმა აკადემიურ დონეზე უნდა ჩაატაროს



# დებატების შესახებ

ოზურგეთის „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირში“ მრავალი სფერო არსებობს და თითოეული მათგანი კონკრეტულ იდეას ემსახურება. კავშირის ბაზაზე 2000 წლიდან ფუნქციონირებს კარლ პოპერის დებატ-კლუბი, რომელშიც მოზარდები შეისწავლიან დებატების ხელოვნებას.

საქართველო დებატების მსოფლიო პროგრამაში 1998 წლიდან ჩაერთო. ჩვენი დებატ-კლუბი საგანმანათლებლო დებატების ასოციაციის წევრი გახდა და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ჩემპიონატებში.

საგანმანათლებლო დებატების სწავლებას კომპლექსური მიზნები აქვს: ჩამოყალიბოს მოსწავლეებს კრიტიკული, ანალიტიკური აზროვნება, თანმიმდევრული, არგუმენტირებული მსჯელობის უნარი, სხვისი (განსხვავებული) აზრის პატივისცემა.

დებატისთვის მზადების პერიოდში მოზარდები მოიძიებენ დიდალ ინფორმაციას (სპეციალური ლიტერატურა, მასმედიის საშუალებები, ინტერნეტი), სწავლობენ და ეჩვენებენ ამ ინფორმაციის კლასიფიკაციას, განზოგადებას. მათ ევალუატიონ კონკრეტული პრობლემა განიხილონ როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მხრიდან.

მსმენელი, რომელიც გათვითცნობიერებული არაა დებატების სწავლებისა და წარმოების სპეციფიკაში, უარყოფითი ხასიათის დასკვნებს აკეთებს შემდეგი გარემოების გამო: მოსწავლეს

ზოგ შემთხვევაში უწევს, ამტკიცოს მისთვის სრულიად მიუღებელი დებულება (იმის გათვალისწინებით, თუ რომელ ჯგუფში უწევს მას ყოფნა – მტკიცებითი თუ უარყოფითი). უფრო მარტივად სიტუაცია ასე წარმოგვიდგება: იგნორირებულია გულწრფელობის მომენტი; იცავ აზრს, რომელსაც არამართო შენ არ ეთანხმები, არამედ იგი ზოგადად მიუღებელია, როგორც არაჯანსაღი და, შეიძლება, ანტიჰუმანურიც კი. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა დემაგოგიაში ვარჯიში.

შევეცდებით, სანინალმდეგოში დაგარნშუნოთ.

უდავოა, რომ დღეს საქართველოში კამათის კულტურა ძალიან დაბალია. ყველანი ვხდებით მონაწილე იმისა, რომ სანინალმდეგო აზრის გამოთქმას საზოგადოების დიდი ნაწილი ომის გამოცხადებად აღიქვამს.

განათლებული, ავტორიტეტული პიროვნებები ლანძღავენ, უყვირიან, ამცირებენ, უცენზურო გამოთქმებით მიმართავენ ერთმანეთს, კი არ უსმენენ, — უსაფრდებიან, კი არ ახალიზებენ მოსმენილს, — ელვის სისწრაფით ეხსმიან თავს, სიმშვიდის შენარჩუნების ნაცვლად რისხვის ნიაღვარს მიუშვებენ მონინალმდეგეებზე.

ყოველივე ეს მოზარდი თაობის თვალწინ ხდება და არსებობს საშიშროება, რომ მან თამაშის ეს წესები ნორმალურად, დასაშვებად მიიჩნიოს, თავადაც დაამკვიდროს ცხოვრებაში და უარი თქვას ისეთ ღირებულებებზე,



როგორცაა მიმტეველობა, პიროვნული ღირსების პატივისცემა, ზნეობრივი მოვალეობები.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ სამოქალაქო საზოგადოების აშენების აუცილებლობაზე. ზემოთ აღწერილი ურთიერთობები კი ყოვლად მიუღებელია ისეთი ქვეყნისთვის, რომელიც ადამიანის უფლებებს, პიროვნების თავისუფლებას ხელშეუხებლობას წმიდათაწმიდა მონაპოვრად მიიჩნევს.

საინტერესოა, სად იღებს სათავეს შეცდომა?

როცა კამათის ხელოვნებაში დაუოცატებული ადამიანი ისმენს სანინალმდეგო აზრს, ის აპრიორი მიიჩნევს, რომ ამ შეხედულებასთან მას საერთო არაფერი აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. ის მთელ თავის გონებრივ შესაძლებლობებს ახმარს

საკუთარი პოზიციის სისწორის დასაბუთებას და წამითაც არ დაფიქრდება, რომ „იმ არასწორ, ყოვლად მიუღებელ დებულებას“ შეიძლება მოუხაზო დადებითი მხარე. კამათი ემსგავსება დავას და გამარჯვების მიღწევა სპორტული ინტერესის საგანი ხდება. ძნელია, მავანი დააჯერო, რომ მონინალმდეგის დამარცხებისაკენ თვითმიზნური ლტოლვა მთლად სანაქებო საქციელი არაა. ცივილიზებული ადამიანისათვის ბევრად ღირებულია, მიაღწიოს კონსენსუსს, გაიმარჯვოს ზოგადად საღი აზრმა და არა პირადად მან( თუმცა ჩვენი საზოგადოებისათვის ამგვარი მენტალიტეტი ჯერჯერობით უცხოა და აღიქმება, როგორც პარადოქსული).

საგანმანათლებლო დებატების შემთხვევაში მოზარდს უხდება, გაითავისოს მონინალმდეგის

შეხედულება და დაძებნოს მასში ის პოზიტიური ელემენტები, რაც მას არგუმენტაციის პროცესში გამოადგება. ის აკეთებს დასკვნას: შეიძლება, არ მიიღო, არ დაეთანხმო „იმ არასწორ აზრს“, მაგრამ ჩამოგიყალიბდეს პატივისცემა მის მიმართ; მოკამათეს მტრად კი აღარ მიიჩნევ, არამედ ადამიანად, რომელსაც, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ღირსება აქვს და, უბრალოდ, სხვაგვარად აზროვნებს. დებატ-კლუბში მიღებული უნარ-ჩვევები სასიკეთოდ ნაადგება მოზარდს ინტერაქტიური ტიპის გაკვეთილებზე, სადაც საკითხის მრავალი კუთხიდან განხილვას, ლოგიკური კავშირების ძიებას, მოსმენილის სწრაფად გაანალიზებას უდადესი მნიშვნელობა ენიჭება.

დებატ-კლუბის წევრებისადებატოდ ირჩევენ ისეთ საკითხებს, რომლებიც აქტუალურია თანამედროვე საზოგადოებისათვის. ხშირად ყოფილა შემთხვევები, რომ მათ მიერ წამოჭრილი პრობლემა საყოველთაო ყურადღების ობიექტი გამხდარა და მოსწავლეთა დებატს საფუძველი ჩაუყრია მისი ლობორებისათვის (ადვოკატურების კამპანიისათვის). სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ ამ პროცესს თან ახლდა რეალური შედეგებიც.

ეს კი მოსწავლისთვის წარმოადგენს სტიმულს, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებში,

ნათია მანაგაძე

# მოსწავლეთა თვითმმართველობები “მოქალაქეები”

## დასასრული

ლეთა თვითმმართველობა წარმოუდგენიათ დირექციის მარჯვენა ხელად დისციპლინის დაცვის საკითხებში.

მოსწავლის მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაცია ამ საკითხის მოგვარებას ავალდებს მოსწავლეთა თვითმმართველობას. მოსწავლეთა თვითმმართველობები დაკავებულნი არიან შემდეგი საქმიანობით:

◆ იღებენ მოსწავლეებისთვის შესასრულებლად სავალდებულო წესებს;

◆ გაკვეთილებზე შეჰყავთ მოსწავლეები, რომლებიც აცდენენ გაკვეთილს;

◆ აძლევენ გაფრთხილებებს დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეებს;

◆ გადასცემენ დირექციას იმ მოსწავლეების გვარებს, რომლებიც ყველაზე ხშირად არღვევენ დისციპლინას. (არცერთი აქ ჩამოთვლილი არ შედის მოსწავლეთა თვითმმართველობის უფლებებში);

აქვე აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებს სულაც არ სიამოვნებთ დამსჯელის როლში ყოფნა. ისინი აღნიშნავენ, რომ ძალიან გაუხარდათ, როცა სემინარზე გაიგეს, რომ მათი ფუნქცია სულაც არ ყოფილა დისციპლინური დევნა და სადამსჯელო საქმიანობა.

ამ სტერეოტიპის განმტკიცებას თავის მხრივ ხელს უწყობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი და საჯარო სკოლის წესდება. ეს დოკუმენტები ითვალისწინებენ დისციპლინური კომიტეტში მოსწავლეთა წარმომადგენლობას. სკოლის წესდება

პირდაპირ მიუთითებს, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა ირჩევს დისციპლინური კომიტეტის წევრებს.

აუცილებელია, რომ კანონში და, შესაბამისად, სკოლის წესდებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და მოსწავლეები მთლიანად ჩამოცილებული იქნენ დისციპლინური დევნის საკითხებისაგან.

**მოსწავლეთა თვითმმართველობები არ არიან დამოუკიდებლები**

დისციპლინის დაცვის საკითხებში მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიურად ჩაბმას ნიშნავს იმას, რომ ისინი არ არიან დამოუკიდებელი ორგანოები, არამედ ასრულებენ იმ დავალებებს, რომლებსაც მათ სკოლის ადმინისტრაცია აძლევს.

მოსწავლეთა თვითმმართველობის ზოგი წევრი შეკითხვაზე — რა უნდა გააკეთოს მოსწავლეთა თვითმმართველობამ სკოლაში? — პირდაპირ პასუხობს: ის, რასაც დირექცია დაავალდებს.

სკოლის ბიუჯეტში, როგორც წესი, არაა ასახული მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობისათვის საჭირო ელემენტარული სახსრები. მხოლოდ რამდენიმე სკოლაშია გამოყოფილი ოთახი მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობისათვის.

მოსწავლეთა თვითმმართველობები არ არიან მზად, სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან უკანონობის შემთხვევაში წინ აღუდგნენ მას, არ შეასრულონ ადმინისტრაციის უკანონო მოთხოვნები, ან, საჭიროების შემთხვევაში, დაიცვან მოსწავლეთა უფლებები.

**კანონმდებლობის ხარვეზები**  
„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საჯარო

რო სკოლის წესდების ერთ-ერთი ხარვეზი არის მოთხოვნა დისციპლინური კომიტეტში მოსწავლეთა თვითმმართველობის მონაწილეობის შესახებ.

მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციების, უფლებების და მოსწავლეების ორგანიზების წესის შესახებ არსებობს საკანონმდებლო ვაკუუმი. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი და საჯარო სკოლის წესდება არ იძლევა სრულწარმოდგენას მოსწავლეთა თვითმმართველობის შესახებ. არ არსებობს ნორმატიული აქტი, რომელიც მოაწესრიგებდა მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს.

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მიხედვით სკოლაში არსებობს 2 მოსწავლეთა თვითმმართველობა: ერთი საბაზო საფეხურზე და ერთი საშუალო საფეხურზე. შესაბამისად, არსებობს 2 თავმჯდომარე. მოსწავლეთა თვითმმართველობის გაორების საჭიროება გაურკვეველია. კანონის ეს მოთხოვნა მხოლოდ ფორმალურად არსებობს, რადგან, ფაქტობრივად, მოსწავლეთა თვითმმართველობა ერთიანი ორგანოა, სხდომები ტარდება ერთად, გადაწყვეტილებები მიიღება ერთად და არ ხდება საფეხურების გამოყოფა ერთმანეთისაგან.

კანონმა მოსწავლეთა თვითმმართველობა გაითვალისწინა, როგორც სკოლის სავალდებულო სტრუქტურული ერთეული, მაშინ, როდესაც არ იყო საქართველოს სკოლებში ამის მოთხოვნილება, განსაკუთრებით ამის თქმა შეიძლება სოფლის სკოლებზე. მოსწავლეებს არ ჰქონდათ არათუ მოთხოვნილება, არამედ წარმოუ-

გენაც მოსწავლეთა თვითმმართველობაზე და უეცრად აღმოჩნდნენ ვალდებულებები წინაშე, რომ აუცილებლად უნდა ჩამოეყალიბებინათ მოსწავლეთა თვითმმართველობა.

მოსწავლეთა თვითმმართველობის არსებობის ერთ-ერთი მიზანი არის ის, რომ მოსწავლე გაიზარდოს სამოქალაქო ცნობიერების მქონე პიროვნებად და ბავშვობიდანვე სცემდეს პატივს დემოკრატიულ ღირებულებებს.

მოსწავლეთა თვითმმართველობის სავალდებულობამ შედეგად მოგვცა მოსწავლეთა თვითმმართველობები, რომლებიც არ არიან მოსწავლეთა აზრის გამოხატველი ორგანოები, არ არიან ნებაყოფლობითი, დამოუკიდებელი და დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული.

ხომ არ იქნებოდა უკეთესი,

## კონსერვაცია პარკაპუი

დაახლოებით ერთი თვის წინ პოლონეთის ქალაქ ვარშავაში ჩატარდა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა თემას „ლიდერი ქალები სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის საქართველოში, ტაჯიკეთსა და კოსოვოში.“

გურიის რეგიონიდან კონფერენციაში მონაწილეობას ღებულობდა ოზურგეთის „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ თავმჯდომარე მარინა თოფურია. როგორც მან აღნიშნა კონფერენცია იყო საინტერესო. რამდენიმე დღე დაეთმო სასწავლო ტრენინგს, თემაზე გენდერული ბალანსი ლიდერი ქალებისათვის და ლიდერ ქალთა საჭირო უნარ-ჩვევებს. ტრენინგს უძღვებოდნენ ქართველი და პოლონელი ექსპერტები.

მოენყო შეხვედრები პოლონეთის ლიდერ ქალებთან, რომლებმაც წარმოადგინეს განხორციელებული საქმიანობების პრეზენტაციები, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობებთან და ქალაქის მუნიციპალიტეტების მერებთან.

შეხვედრების საფუძველზე დაიგეგმა მონაწილე ქვეყნებს შორის ერთობლივი პროექტები გამოცდილებისა და კულტურების შესახებ ინფორმაციის გაცვლისა და ურთიერთთანამშრომლობის მიზნით.

კანონს დაეშვა მოსწავლეთა თვითმმართველობა, როგორც სკოლის ნებაყოფლობითი სტრუქტურული ერთეული? ამ შემთხვევაში მოსწავლეთა თვითმმართველობები ჩამოყალიბდებოდა მხოლოდ იმ სკოლებში, სადაც ამის მოთხოვნილება მოსწავლეებს ექნებოდათ. მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობაში დირექციის ჩარევის ხარისხი იქნებოდა ნაკლები და მოსწავლეთა თვითმმართველობები იქნებოდნენ რეალურად მოსწავლეთა საჭიროებებზე, მათი უფლებების დაცვასა და მათი აზრის გამოხატვაზე ორიენტირებული.

**ბრიგოლ მანარაჰი, მოსწავლეთა თვითმმართველობის განვითარების კომპონენტის მენეჯერი**



2005 წელს მიღებული „კანონი ზოგადი განათლების შესახებ“ ძირეულად ცვლის სკოლის მართვის წესებს და მის ურთიერთობას საზოგადოების სხვადასხვა სექტორთან.

მასწავლებლებს, მშობლებს, თემის წარმომადგენლებს, სამეურვეო საბჭოს წევრებს საშუალება აქვთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სკოლაში არსებული პრობლემების გადაწყვეტის საქმეში. შეუძლებელია, მშობლების, მასწავლებლების, მოსწავლეების, ადმინისტრაციის ერთობლივი საქმიანობის გარეშე მივაღწიოთ სკოლის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზნის რეალიზებას - მოსწავლეთა სრულყოფილი განათლებით უზრუნველყოფას.

ამიტომ რეფორმის განხორციელებაში ჩართული უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარე (ადმინისტრაციასთან ერთად მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები, საზოგადოების წარმომადგენლები). მათ, ვისაც რეფორმა ეხება, უნდა ჰქონდეს შესაკუთრის განცდა იმ საქმიანობის მიმართ, რითიც რეფორმა რეალიზდება;

ცემის უფლება; დისციპლინასთან დაკავშირებული უფლებები.

- სკოლის შინაგანანგისით დადგენილი მოთხოვნები, დისციპლინური დევნა და სახდელი უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და თანაზომადი.
- სკოლის შინაგანანგისით შეიძლება გათვალისწინებული იყოს მოსწავლის გაკვეთილიდან გაქვევება, სკოლიდან დათხოვნა და სხვა დისციპლინური სახდელები.
- დისციპლინური დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სკოლის შინაგანანგისით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. დისციპლინური დევნისას სკოლა ვალდებულია განუმარტოს მოსწავლეს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის არსი.

რომელი ან სხვა საჯარო მოსამსახურე ამყარებს კონტაქტს სკოლა ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მოსწავლის მშობელს;

- დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ.
  - ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
- მშობელს აქვს სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება**
- საჯარო სკოლის მართვა ხორციელდება საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპის საფუძველზე.
  - მშობელს უფლება აქვს არ-

• მშობლის პერსონალური მონაცემების შეგროვებისას და შენახვისას სკოლა ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებით.

- მშობელს კანონით დადგენილი წესით აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, ნებისმიერი ან არცერთი რწმენისა თუ მსოფლმხედველობის ნებაყოფლობით არჩევის და შეცვლის უფლება.
- დაუშვებელია, მშობელს დაეკისროს ისეთი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება მის რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს, თუ ეს არ ლახავს სხვათა უფლებებს, ან ხელს არ

# დიდია სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობა

განსაკუთრებით დიდია სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობა.

მშობელი, რომ აქტიურად ჩაერთოს სასკოლო ცხოვრებაში, მას პირველ რიგში სჭირდება ინფორმაცია საკუთარ უფლებზე და თავისუფლებებზე და მათი რეალიზების მექანიზმებზე.

გთავაზობთ „კანონი ზოგადი განათლების შესახებ“ ფარგლებში მშობელთა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს:

- მშობელს აქვს სკოლის არჩევის უფლება; ასევე მას აქვს უფლება, აირჩიოს სწავლების ფორმა (ექსტერნალი და სხვა ალტერნატიული ფორმები);
- ყოველ მშობელს აქვს უფლება, სასკოლო ასაკს მიღწეული ბავშვის განათლების დასაფინანსებლად მიიღოს ვაუჩერი;
- სხვა სკოლაში გადასვლისას სახელმწიფო დაფინანსება გრძელდება;
- დაუშვებელია რაიმე სახის დისკრიმინაცია სკოლაში მიღებისას;
- სახელმწიფო იცავს მოსწავლის და მშობლის საგანმანათლებლო არჩევნის თავისუფლებას. მშობლის საგანმანათლებლო არჩევანის თავისუფლება არ გულისხმობს:

- სავალდებულო განათლებისათვის თავის არიდების უფლებას;
- ისეთ განათლებას, რომელიც ხელს შეუშლის ამ კანონის მიზნების მიღწევას.

- მშობელს უფლება აქვს მიიღოს სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციისა.
- მშობლებს, რომლებსაც ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები, აგრეთვე იმ მოსწავლეებს, რომლებსაც ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდებათ, განათლების სისტემის მართვის ორგანოები უქმნიან სპეციალურ და კორექტიულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა შესაბამისად ხორციელდება მათი აღზრდა, სწავლება, მკურნალობა, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივი ცხოვრებაში ინტეგრაცია. ასეთ მოსწავლეთა დაფინანსებას უზრუნველყოფს სახელმწიფო.

გაერთიანების კუთხით

- მშობლებს აქვთ გაერთიანების შექმნის უფლება (სათათბიროები, კლუბები, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური);
- დაუშვებელია, სკოლა ჩაერიოს მშობელთა გაერთიანების საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა;
- მშობლებს, აგრეთვე მათ გაერთიანებებს, უფლება აქვთ, თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, კანონით დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლონ კანონის და სკოლის მიერ აღიარებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით;
- დაუშვებელია სკოლის მიერ საკუთარი უფლებამოსილებისა და რესურსების იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად გამოიწვიოს მშობლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების, რაიმე დისკრიმინაცია;
- ეს კანონი არ უარყოფს იმ საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც არ არის აქ მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან.

- მშობელს უფლება აქვს ფლობდეს ინფორმაციას თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ.

### მშობელმა უნდა იცოდეს, რომ:

- მისი შვილი დაცული უნდა იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან.
- არ შეიძლება აკადემიური მიღწევების შეფასების დროს გათვალისწინებული იყოს მოსწავლის დისციპლინა;
- მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია დისციპლინური მონაცემებისაგან განცალკევებით უნდა ინახებოდეს.
- სკოლიდან გარიცხულ მოსწავლეს უფლება აქვს სწავლა სხვა სკოლაში განაგრძოს იმავე საფეხურზე;
- მოსწავლეს აქვს აზრის გამოხატვისა და მისი პატივის-

- მოსწავლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების, აგრეთვე დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის მშობელს. მოსწავლეს უფლება აქვს მასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მშობელთან ერთად წარდგეს.
- სკოლა ვალდებულია მიიღოს ზომები, რათა დისციპლინურმა სახდელმა არ გამოიწვიოს მოსწავლის არსებითი ჩამორჩენა სასწავლო პროცესისაგან.
- დაუშვებელია სასტიკი ან ისეთი დისციპლინური სახდელის გამოყენება, რომელიც ლახავს პირის პატივსა და ღირსებას.
- დაუშვებელია მოსწავლის ჩხრეკა. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ:

- მტკიცებულებები მიუთითებს კონკრეტულ პირზე და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჩხრეკის შედეგად გამოვლინდება სკოლის შინაგანანგის გათვალისწინებული გადაცდომა.
- მოსწავლის ჩხრეკა შეიძლება განახორციელოს მხოლოდ სკოლის მიერ საამისოდ უფლებამოსილმა პირმა.

- დაუშვებელია მოსწავლეთა კოლექტიური ჩხრეკა.
- დაუშვებელია სკოლის მიერ მოსწავლის დისციპლინური დევნა იმ ქმედებისათვის, რომელიც მან ჩაიდინა სასკოლო დროისაგან თავისუფალ დროს ან სკოლის ტერიტორიის გარეთ;
- მოსწავლეს უფლება აქვს დისციპლინური დევნისას ისარგებლოს დუმილის უფლებით. დუმილის უფლება არ თავისუფლებს მოსწავლეს დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან.
- მოსწავლის გაკვეთილიდან გაქვევების გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მასწავლებელს, სკოლიდან 5 დღემდე ვადით დათხოვნის გადაწყვეტილების მიღების უფლება – სკოლის დირექტორს, ხოლო 5-10 დღემდე ვადით დათხოვნის ან სკოლიდან გარიცხვის გადაწყვეტილების მიღების უფლება – დისციპლინურ კომიტეტს ფარული კენჭისყრით.
- თუ მოსწავლესთან სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე პოლიციის თანამშ-

ჩეულ იქნას და აირჩიოს სამეურვეო საბჭოს წევრები;

- მშობელს უფლება აქვს პირადად ან არჩეული წარმომადგენლის (სამეურვეო საბჭო) მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს სკოლის მართვაში, ასევე სამეურვეო საბჭოს სხდომებზე დასწრებით, წინადადებებისა და რეკომენდაციების მიწოდებით.
- მშობელს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს სკოლის მიერ მათთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მისი აზრის მოსმენისა და განხილვაში უშუალოდ ან ნაშრომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის შესაძლებლობა. (მიმართოს წერილობით სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს და დაესწროს სამეურვეო საბჭოს სხდომებს);
- მშობელს უფლება აქვს თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება (მიმართოს სამეურვეო საბჭოს და სხვა ინსტანციებს);
- მშობელს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მოიძიოს, მიიღოს, შექმნას, შეინახოს, დაამუშაოს ან გაავრცელოს ნებისმიერი ინფორმაცია და იდეები, აგრეთვე გამოიყენოს სკოლის რესურსები ინფორმაციისა და იდეების მოსაძიებლად, მისაღებად, შესაქმნელად, შესანახად, დასამუშავებლად ან გასავრცელებლად საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ კანონით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.
- მშობელს უფლება აქვს გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა.
- მშობელს უფლება აქვს საქველმოქმედო მიზნებისათვის მოიზიდოს ნებაყოფლობით შემონიშნულობები.
- დაუშვებელია ფინანსური სახსრების ან სხვა სიკეთის გამოძალვა.
- მშობლის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. მას არ შეიძლება მოვთხოვოთ გაამჟღავნოს ინფორმაცია თავის პირად ცხოვრებაზე.

შეუშლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონის დაძლევას.

- საჯარო სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლონ რელიგია ან ჩაატარონ რელიგიური რიტუალი, თუ იგი ემსახურება რელიგიური განათლების მიღებას.
- სკოლის ვალდებულებები:**
- სკოლა ვალდებულია შექმნას ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე.
  - სკოლა ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსწავლის უფლებებისა და თავისუფლებების ჯეროვანი დაცვის, დარღვევის თავიდან აცილების ან აღკვეთის მიზნით.
  - მოსწავლის მიმართ ქმედების განხორციელებისას დაცული უნდა იქნეს მისი ჭეშმარიტი ინტერესი.
  - სკოლა ვალდებულია ყოველ ახალ მშობელს გააცნოს მისი უფლებები და თავისუფლებები.
  - სკოლა ვალდებულია უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვისას მშობელს გონივრულ ვადაში განუმარტოს შეზღუდვის საფუძველი.
  - სკოლას უფლება აქვს დაანესოს სასკოლო ფორმა ისე, რომ არ შეზღუდოს მოსწავლის გამოხატვის თავისუფლება. მოსწავლეს აქვს უფლება დასაბუთებული უარი თქვას სასკოლო ფორმის ტარებაზე.
  - სასკოლო ფორმის დაწესებისას სკოლამ უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფინანსური შესაძლებლობები და თუ მას არ შეუძლია ფორმის შექმნა, სკოლამ უნდა უზრუნველყოს იგი ფორმით.
  - სკოლა ვალდებულია შექმნას საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიანი საშუალება (დისციპლინური საბჭო და სააპელაციო კომიტეტი).

მზია მეხუზლა, გრიგოლ მახარაძე





მერიის საჯარო სკოლა

რა თქმა უნდა ამინდს ვერ შე-  
ჰქმნიდა.

როცა 13 მაისს სატელე-  
ვიზიო გადაცემა „დროება-  
ში“ „ახალგაზრდა პედაგოგთა  
კავშირის“ მოსწავლეების მიერ  
გადაღებული ფილმი იქნა ნაჩვენე-  
ბი, რატომღაც ამ ფაქტმა  
საზოგადოებაში დიდი მითქ-  
მა-მოთქმა გამოიწვია. გან-  
საკუთრებით კი იმ ნაწილისა,  
რომელთა სკოლები გარემონ-  
ტებული იყო. ნაწილმა კი „გული  
მოიფხანა“ ამ კადრების ნახ-  
ვით და იმედით ელის ხვალინ-

დელ დღეს, იქნებ ახლა მაინც  
მოგვხედონ და გაგვირემონტონ  
სკოლებიო..

„ახალგაზრდა პედაგოგთა  
კავშირმა“ 16 მაისს ისევ მოინ-  
ახულა სკოლები, რომელთა კა-  
დრებიც ფილმშია აღბეჭდილი  
და ნანახმა ყოველგვარ მოლო-  
დინს გადააჭარბა. სასწავლო  
დანესებულებებში უარესი  
მდგომარეობაა.

შეგახსენებთ, რომ ეს ფილმი  
2005 წელსაა გადაღებული.

ეს კადრები კი 2007 წლის 16  
მაისს..



ლაითურის საჯარო სკოლა

# ჩვენი სკოლა

## ანუ „არახვეულოებრივი გამოფენა“

ეს იყო ორი წლის წინათ.  
„ოზურგეთის ახალგაზრდა პე-  
დაგოგთა კავშირთან“ არსებულმა  
კინოდოკუმენტალისტთა წრის  
წევრებმა დოკუმენტური ფილ-  
მი „ჩემი სკოლა ანუ არაჩვეუ-  
ლებრივი გამოფენა“ გადაიღეს.

ფილმის მთავარი გმირი  
სევდიანი თვალებით გვიყვება  
გურიის სკოლებში არსებულ

მდგომარეობაზე. იგი გულისტ-  
კივლით შეჰყურებს ირგვლივ  
გამეფებულ მდგომარეობას და  
უკეთეს ხვალინდელ დღეზე ოც-  
ნებობს, როცა გალამაზებულ და  
გარემონტებულ სკოლებში იხი-  
ლავს თავის თანატოლებს.

თითქოს ახდა პატარა ბი-  
ჭის ოცნება და განათლებ-  
ისა და მეცნიერების სამინ-

ისტრომ პროექტ „იაკობ  
გოგებაშვილის“ ფარგლებში  
სკოლების რემონტები დაიწყო.  
მათ შორის გურიის რეგიონიდან  
ნ. დუმბაძის სახელობის №2,  
ჩოხატაურის №1, და ლანჩხუ-  
თის №1, სკოლები აღმოჩნდნენ.  
მოგეხსენებათ გურიის რე-  
გიონში კისულ 120 სკოლაა და  
აქედან სამი გარემონტებული



დვებზუს საჯარო სკოლა



მაკვანეთის საჯარო სკოლა

ნომერზე პასუხისმგებელი: ნინელი კალანდაძე.  
გაზეთის გამოცემაზე მუშაობდნენ: გრიგოლ მახარაძე,  
თეა კუპრაძე, ნათია მენაბდე, მზია მეხუზლა,  
მარინა თოფურია.

მისამართი:  
ოზურგეთი. გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3ა.  
ტელ 8(93) 33 23 17

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა ქ. თბილისში  
გამომცემლობა „სეზანში“